



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბდუშელიშვილი ვასილ გიორგის ძე

აბდუშელიშვილი ვასილ გიორგის ძე [30. IV (12. V). 1887, სოფ. შალაური, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 15. I. 1948, თბილისი], პედაგოგი, მეთოდისტი, მთარგმნელი და საზ. მოღვაწე. დამს. მასწავლებელი (1939). 1913 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტი. მათ. მასწავლებლად მუშაობდა თბილ. ქართ. გიმნაზიაში, ქიმ. ტექნიკუმში, I ათწლიან სკოლაში, I საცდელ-საჩვენებელ, მე-14, მე-18 საშ. სკოლებში. გამოქვეყნებული აქვს სტატიები მათ. სწავლების საკითხებზე.

ა. სამადაშვილი
